საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს
ტერიტორიული ორგანო - ქალაქ ქუთაისის საგანმანათლებო რესურსცენტრი

28/10/2024

MES 3 24 0001383070

ნესტორ გოქაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N22 საჯარო სკოლის
დირექტორის მ/შ ქალბატონ ნინო ელბაქიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენს 2024 წლის 18 ოქტომბრის №1343625 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის პოზიციის გათვალისწინებით, სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის საფუძველზე (საჯარო სკოლამ ხსენებულ უწყებაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სარგებლობაში გადასაცემი ქონების შესახებ შესაბამისი მახასიათებლებით, სარგებლობაში გადაცემის სათანადო დასაბუთება, ვადა, საწყისი საფასურის ოდენობა და სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა პირობები), „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების შესაბამისად, იჯარის ფორმით, აუქციონის წესით (არაუმეტეს ერთი წლის ვადით, სკოლის წერილში მითითებულ დღეებსა და საათებში) გაიცეს, სსიპ - ნესტორ გოქაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N22 საჯარო საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობაში მდებარე (ს/კ 03.03.25.148) 38,74 კვ.მ 244,24 კვ.მ. ფართი და 324,27 კვ.მ. ღია სპორტული მოედანი, ნებადართული საქმიანობების განხორციელების მიზნით - იმ პირობით, თუ აღნიშნულით ხელი არ შეეშლება სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, სკოლა სრულყოფილად, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს, არ მოხდება სკოლის საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონების დაზიანება და დაცული იქნება მოსწავლეთა უსაფრთხოება.

ამასთან, გთხოვთ, აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების გაფორმებისას, ხელშეკრულების ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვეტის ერთ-ერთ პირობად გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები, კერძოდ: ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ვადაზე ადრე თუ იგი გამოწვეულია სახელმწიფო პოლიტიკით, კანონმდებლობის ცვლილებით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მოთხოვნით,

სკოლაში სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ასევე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სარგებლობაში გადაცემის საფასური უნდა განისაზღვროს - „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ფართის/ფართების სარგებლობაში გაცემიდან 10 (ათი) დღის ვადაში უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია, კერძოდ:

1. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის თანხმობები;
2. აუქციონის გამოცხადებისა და დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. იჯარის ხელშეკრულება და მასში შესული ნებისმიერი ცვლილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. უძრავი და მოძრავი (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) ქონების შეფასების უფლების მქონე პირის/ორგანიზაციის დასკვნა, რაც დასტურდება აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანიზაციის სერტიფიკატით.

პატივისცემით,

რესურსცენტრის უფროსი
ცქიტიშვილი მაია

ელექტრონული
ეროვნული
ელექტრონული